ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 ივლისის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: რევაზ შერგელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

4.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში 2019-202 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

5 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: მარინე ხვედელიძე

6.„ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის **03** დეკემბრის N69.692133719 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

7.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 ივლისის მორიგი სხდომის

ოქმი N 11

2022 წლის 04 ივლისი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, , ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 24 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

პეტრე შარიქაძე - მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი .

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

რევაზ შერგელაშვილი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი" ს დირექტორი

მოწვეული პირები:

ზაზა წულუკიძე - შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი" - ს პროექტის მენეჯერი ,

მარინე ხაჭაპურიძე - DMO – იმერეთის აღმასრულებელი დირექტორი ,

პაატა ლილუაშვილი - DMO – იმერეთის - სამეთვალყურეო საბჭოს უფროსის მოადგილე

ნანა ლორთქიფანიძე - DMO – იმერეთის მთავარი სპეციალისტი ,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: რევაზ შერგელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

5 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: მარინე ხვედელიძე

6.„ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133719 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

7.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე -24

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა - მერის პირველმა მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოსა და მერიას შორის თანამშრომლობა მისასალმებელია, საკრებულოს თანხმობით ჩვენ სოციალური დახმარების პროგრამების დასაფინანსებლად ხარჯები გავზარდეთ, წინსვლა გვაქვს ამ კუთხით სამსახური აკეთებს ყველაფერს, რომ მოქალაქეებს გაუწიონ მათთვის საჭირო დახმარება.

გ. გიორგიძემ - საკრებულოს წევრმა, მან მადლობა გადაუხადა ჯანდაცვის სამსახურს გაწეული საქმიანობისათვის, ა (ა)ი. პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს პანდემიის დროს გამოჩენილი მაღალი პასუხისმგებლობისათვის, მუნიციპალიტეტის მერიას მოძრავი ლაბორატორიის დადგმისათვის და დააყენა წინადადება კოვიდ ინფექციის შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით იმუნიზაციის გააქტიურების აუცილებლობის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოსასწორებელია ადგილებზე სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის მონიტორინგი, ვინაიდან სამუშაო საათებში ეს დაწესებულებები პირადად შევესწარი, რომ იყო გამოკეტილი.

შ. ხიჯაკაძემ, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, სამსახური აქტიურად მუშაობს მასზე დაკისრებული უფლებამოსილება - მოვალეობების შესასრულებლად, კომისიამ სამსახურის საქმიანობა მიიჩნია დადებითად .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შ. ხიჯაკაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე - 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელის რევაზი შერგელაშვილის ანგარიში "სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი" - ს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

კ. გამრეკელაშვილმა, საკრებულოს წევრმა მიმართა მომხსენებელს **და** აღნიშნა, რომ სოფელ კიცხში არის კლასიკური ჭიდაობის წრე, მუშაობენ სკოლა პანსიონის დარბაზში, ბავშვებს აქვთ მიღწევები, აქ აღზრდილები არიან ჩვენი წარმატებული მოჭიდავეები, შველიძე და ბერაძე, ახალგაზრდებს ჭირდება ყურადღება.

ნ. ზურაბიანმა მიმართა მომხსენებელს, და აღნიშნა რომ ხიდარში არის კარატეს წრე, ბავშვები შეჯიბრებაში იღებენ მონაწილეობას და კარგ შედეგებსაც აღწევენ, კარგი იქნება თუ მეტი ყურადღება და ხელშეწყობა იქნება თქვენი მხრიდან.

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამსახურს პანდემიის პირობებში ჰქონდა შეფერხებები, ამჟამად

მდგომარეობა შეცვლილია, დაგეგმილია აქტივობები, მაგრამ მინდა ვურჩიო სამსახურს მეტი

ყურადღება დაუთმოს სპორტთან ერთად ტურიზმის იმ სახეობების გააქტიურებას და

პოპულარიზაციას, რაც ხარაგაულის პირობებში შეიძლება გაკეთდეს., ვიცით ა.(ა) იპი-ს ახალი

ხელმძღვანელი ჰყავ, ველოდებით მისგან სიახლეებს, როგორც აღვნიშნე აქვს გეგმები , წარმატებები

ვუსურვოთ, კომისია დადებითად აფასებს მათ საქმიანობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა მ. ხვედელიძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე - 23

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბესიკ კვირიკაშვილის ანგარიში, კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

საკრებულოს წევრებმა: პ. გოგოლაძემ, შ. ლურსმანაშვილმა, ა. ვეფხვაძემ დასვეს წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე - 23

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბესიკ კვირიკაშვილის ინფორმაცია საკითხზე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ზაზა წულუკიძემ - შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“- ს პროექტის მენეჯერმა , სახელმწიფო აუდიტის ანგარიშიდან ყველაზე ნაკლები შენიშვნა ხარაგაულის

მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, შეუძლებელია პროექტის მომზადება კორექტირების გარეშე,

რაც შეეხება დასაქმებულ კადრებს მოგახსენებთ, რომ შესაბამისი აკრედიტაციის გარეშე

თანამშრომლებს ვერ ვღებულობთ, შეიძლება იყოს დროებით დასაქმებული. საამშენებლო

ობიექტებზე ვადის გადაწევის შემთხვევები ადრე უფრო მეტი ფიქსირდებოდა, ახლა ეს შემთხვევები შემცირებულია, თუმცა ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში გადავადება ხდება.

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ წინა წლებში მართლაც იყო ხარვეზები საქმიანობაში დაგეთანხმებით მიმდინარე წელი კარგად მიდის, ვადებში ეტევა, მაგრამ ხალხმა უნდა დაინახოს შედეგი აქ ყურადღება მინდა გავამახვილო გზის ნაპირების მოწყობაზე, რომელიც გარკვეულ პრობლემებს ქმნის ტრანსპორტის მოძრაობისას, ეს პრობლემა არის გამოსასწორებელი.

შ. ლურსმანაშვილმა ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარემ მომხსენებლის მისამართით დასვა შეკითხვა რამდენ ობიექტს უწევთ მონიტორინგს ხარაგაულში და რამდენი თანამშრომელი გყავთ.

ზ. წულუკიძემ უპასუხა, რომ დაახლოებით 15 ობიექტზე ვაწარმოებთ ზედამხედველობას და გვყავს 6 თანამშრომელი, 2-3 დღეში აუცილებლად ხდება შემოწმება, თანამშრომლებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი ჩვენს მიერ იმისათვის, რომ ხარისხიანად შეასრულონ მათი მოვალეობა, აქტიურად ვთანამშრომლობთ მერიასთან. კარგია თითო პროექტზე 1 მაკონტროლებელი იყოს, მაგრამ ამის ფინანსური შესაძლებლობა არ არის, თუმცა სიმცირე ხელს არ გვიშლის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე - 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის ინფორმაცია საკითხზე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:მარინე ხაჭაპურიძე - DMO – იმერეთის აღმასრულებელი დირექტორმა, რომელმაც საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია თან ერთვის).

პ. გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა იმის გამო, რომ კითხვები იყო სამსახურის საქმიანობის შესახებ, როგორც პოზიციიდან ასევე ოპოზიციიდან ამის გამო საკრებულომ გადაწყვიტა თქვენი მოწვევა, რათა მიგვეღო მეტი ინფორმაცია აუდიტის დასკვნიდან გამომდინარე. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უბისის ტაძარზე მეტი ასაკის ტაძრებია, რომელსაც ჭირდება რეკლამირება.

მ. ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ აქ პირველ რიგში უნდა მოეწყოს ინფრასტრუქტურა და მეტი აქტიურობაა საჭირო ადგილობრივ ტურიზმიდან.

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე და საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკრებულოსა და მერიის მიერ გასატარებელ ღონისძიებების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე - 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონები მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133719 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ცვლილების ცნობად მიღების თაობაზე.

საკრებულოს განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
(თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ზ. ორბელაძემ საკრებულოს აპარატის იურისტმა, რომელმაც საკრებულოს წევრებს

განუმარტა საკრებულოს აპარატში შეტანილი ცვლილებების შესახებ აღნიშნა, რომ ეს არ იყო

ძირეული ცვლილება დებულებაში, დაზუსტდა ზოგიერთი ტექნიკური მხარე დებულების.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დადგენილების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი,

მომხრე - 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**